ლელა კიკნაველიძე, ირინა უგრეხელიძე

თუში ქალის ეთნოკოსტიუმი და მისი მოდიფიკაცია თანამედროვე სამოსში

ყოველი ეპოქის კულტურა საზრდოობს გასული ეპოქების მიღწევებით, რომლებიც აუცილებლად არის დაკავშირებული ნაციონალურ და ხალხურ ტრადიციებთან. კაცობრიობის ისტორიაში უძველესსა და უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს სამოსელი და მისი გამოყენება წარმოადგენს. იგი ითვლება საზოგადოების სულიერი და მატერიალური კულტურის შემადგენელ ნაწილად. იმ მასალებს შორის, რომლებიც სამოსელის ისტორიის გასარკვევად გამოდგებიან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალას, რადგან ეს მასალა შეიცავს მოცემულ ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესს, ჩაცმა-დახურვის ხერხებსა და სამოსის ტარების მანერას.

ქართველები უძველესი დროიდან ორიგინალურად და თავისებურად იმოსებოდნენ, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებდა. მკვლევართა აზრით, ტანსაცმლის ფორმებს განსაზღვრავს ეთნიკური ნორმები, ბუნებრივი (კლიმატური) პირობები, სამეურნეო მდგომარეობა და ხალხთა შორის ისტორიული კავშირები. საქართველოს თავისი მდგომარეობისა და მდებარეობის გამო, ურთიერთობა ჰქონდა ძველი და ახალი სამყაროს ისეთ ქვეყნებთან როგორებიცაა საბერძნეთი, რომი, ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი, რუსეთი და ევროპის სხვა ქვეყნები. სწორედ ამ ურთოერთკავშირების კვალს ატარებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა და კერძოდ ტანსაცმელი.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ტანსაცმლის დასამზადებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სელის, კანაფის, ბამბისა მატყლის ქსოვილებს. დადასტურებულია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული სამოსი, ხანგრძლივი გამოყენების გამო, საგრძნობლად დაშორდა თავდაპირველ სახეს. უძველესი ფორმები ყელაზე მეტად მთამ შემოინახა, კერძოდ კი ხევსურულმა თუშურმა, რაჭულმა, მოხევურმა, აჭარულმა, ინგილოურმა და სხვა კომპლექსებმა. მთიელთა ტანაცმელში გამოყენებული ორიგინალური ელემენტებისა და გაწყობის ხერხების მრავალფეროვნება ქართული ხალხური ჩაცმულობის განუმეორებელ კოლორიტს ქმნის [1, 3].

დასახელებული კომპლექსებიდან საინტერესო და ამავდროულად ნაკლებად შესწავლილია ეთნოკოსტიუმის ერთ-ერთი ლოკალური ვარიანტი, კერძოდ თუში ქალის სამოსი, რომელიც ზოგადკავკასიური კოსტიუმის თვითმყოფად სახეობას წარმოადგენს (სურ. 1). XXს-ის დასაწყისში თუშთა ნაწილი ისევ სარგებლობდა სამოსის ამ ძველებური ტიპით. მის დასამზადებელ ძირითად მასალად გამოიყენებოდა შინამრეწველური საშუალებით მიღებული შალის ქსოვილის – „ტოლის“ რამდენიმე სახეობა. კავკასიის ზოგიერთი მთიანი რეგიონების მსგავსად, თუშეთში ფაბრიკული წესით დამზადებული პროდუქციის შესვლის შემდეგაც მოსახლეობის უმეტესობა ისევ საოჯახო წესით მიღებულ ნაწარმს მოიხმარდა.

თუში ქალის სამოსის კომპლექსებს მთელი სისრულით არ მოუღწევია ჩვენამდე. სამოსის შემადგენელი ელემენტებია: შიგა სამოსი – პერანგი და ქვედა საცვალი; გარე სამოსი – ჯუბა (იგივე კაბ-ჯუბა, ან უბიანი ჩოხა), დამატებითი ელემენტით – ქუროებით (სახელ-ქუროი), ფარგულ-ი, წინსაფარი და სარტყელი (თუშურად დუხკ); ზედა სამოსი – ჩოხა და ზამთრის ტყავის ქურქი – კოკა (იგივე ტყავ-კაბა). დადასტურებულია, ასევე, ერთიანი ჯუბის ნაცვლად ცალ-ცალკე ელემენტების – ზედატანის (ჟღარლარე, რუბაშქ) და ქვედა კაბის (ბოლო კაბ) გამოყენება, რომლებიც ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილების გავრცელების შემდეგ დაინერგა [2, 44].

თუში ქალის გარე სამოსის აღმნიშვნელი ტერმინი – **„ჯუბა“** არაბული სიტყვაა (დჯობბაჰ). მისი გავრცელება საქართველოში ძველთაგანვე შეინიშნება, რასაც ადასტურებს წერილობითი წყაროები. ვახტანგ VI-ის ლექსიკონის მიხედვით „ჯუბა ძველი საცმელი არის“, ხოლო სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით – „ჯუბა არის მსხვილი სამოსელი“.

ჯუბის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მას არა აქვს მხრის ნაკერი, კალთა და ზურგი მთლიანადაა აჭრილი. სწორედ მსგავსი – მხრის ხაზზე გაუჭრელი ჯუბის თუშეთში არსებობის ფაქტი დამატებით ადასტურებს, რომ მთამ თითქმის უცვლელად შემოგვინახა ძველებური სამოსის ფორმები და მისი აღმნიშვნელი ტერმინებიც.

თუში ქალის ჯუბა (თუშები შინნაქსოვი შალის სამოსს ჯუბას უწოდებენ, ხოლო ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის სამოსს – კაბ-ჯუბას) გრძელი, თავისუფალი ქვევით ტრაპეციულად გაფართოებული სილუეტის სამოსია, გრძელი სახელოებით (სურ. 2). კალთა და ზურგი მთლიანადაჭრილი (მხრის ნაკერის გარეშე), ერთნაწილიანი, გვერდის ნაკერებში თეძოს, წელის, ან მკერდის დონიდან ქვევით შედგმული აქვს სამკუთხა დეტალები „აზღოტები“, რომელთა საშუალებით მიიღება ტრაპეციული ფორმა (სურ. 3). ჯუბის ყელის ღიობი მართკუთხა ფორმისაა და წინ ძალზე ღრმად (წელის ხაზამდე) არის ამოჭრილი. კალთის წინა ნაპირების გასწვრივ, გულისპირის ორივე მხარეს, დაგვირისტებულია გასაფორმებელი დეტალი, ხავერდის ან ბამბის ქსოვილის ზოლი – „საული“, მასზე 2-3 მწკრივად დაკერებულია ძეკვზე ასხმული თეთრი ფულის მონეტები. სახელო ჩაკერებული, ტრაპეციული ფორმის – მაჯასთან შევიწროებული, სწორხაზოვანი ზედა განაჭერი ნაპირით. სახელოს იღლიას ჩაკერებული აქვს მცირე ზომის სამკუთხა დეტალი „ხიშტაკი“ (თუშ. „ჭეკ“). ჯუბის ბოლო განაჭერი ნაპირი დამუშავებულია დახურული ნაკერით.

ჯუბის შემადგენელ დამატებით ელემენტს განეკუთვნება ხელზე – მტევნიდან იდაყვამდე წამოსაცმელი მანჟეტისებური ელემენტი **„ქუროები**“ („სახელ-ქუროი“). ქუროები შავი, ლურჯი ან მუქი შინდისფერი ხავერდის ან მაუდის ქსოვილისაგანაა დამზადებული; გაფორმებულია ფერადი ნაქარგობით, ან მაქმანებითა და ბუზმენტებით. საველე ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ვისაც რამდენიმე ჯუბის შეძენის საშუალება არ ჰქონდა, ქუროებს იკერავდა. ქალი, ქორწილში თუ სალოცავად წასვლის დროს ძველ ჯუბაზე ქუროებს წამოიცვამდა, ახალ წინსაფარს გაიკეთებდა და ჩოხის ან ქურქის შიგნით ლამაზად გამოიყურებოდა [2, 46].

ჯუბას მხრის არეში შიგნიდან დაკერებული აქვს ღილები, რომელზეც მიებნევა თუშური გულისპირი – **„ფარგულ“** (სურ. 4). ის ავსებს ჯუბის ღრმად ამოჭრილი ყელის ღიობს. ჯუბა ფარგულის გარეშე არ ჩაიცმებოდა და პირიქით. ფარგული მართკუთხა ფორმის დუბლირებული დეტალია, საზედაპირე მასალად ხავერდის ქსოვილი გამოიყენება, სასარჩულედ ჩითისა. ფარგულის ყელი სამკუთხადაა ამოჭრილი, განაჭერ ნაპირი გაფორმებულია მაქმანით. ყელის ზედა ნაპირებთან დამუშავებულია ღილკილოები, რომლებითაც ფარგულ ჩამოეცმება ჯუბაზე დაკერებულ ღილებზე. ფარგულს ერთ მხარეს – გვერდის ნაპირში მიმაგრებული აქვს ზონარები, მეორეში ღილკილოები. გულმკერდზე ჩამოფარების შემდეგ ზონარები ზურგზე შემოტარებით იკვრება მეორე მხარეს – ღილკილოებთან. ფარგული გაფორმებულია მკერდზე ჰორიზონტალურად, მიჯრით დაკერებული ღილებით, რომლებიდანაც რამოდენიმე წყებად დაშვებულია ვერცხლის წვრილი ძეწკვები.

ჯუბის აუცილებელი აქსესუარია ასევე **სარტყელი** – „დუხკ“, რომელიც 7-8 სმ სიგანისა და 2მ-დე სიგრძისაა. სარტყელს თეძოების ზევით ორჯერ შემოიტარებდნენ და შეიკრავდნენ უკანა მხარეს. მისი მიზანია ჯუბის გულისპირის კარგად დაყენება. სარტყელი შინნაქსოვი შალის ქსოვილისაგან იკერებოდა, ან სპეციალურ აკაზმებზე იქსოვებოდა.

ჯუბის კიდევ ერთი განუყოფელი ნაწილია **წინსაფარი**. ჯუბა, წინსაფარი და ფარგული ერთმანეთის გარეშე არ გამოიყენებოდა. წინსაფარს ფარგულის ოდნავ გადმოწევით იკეთებდნენ. წოვა-თუში ქალისათვის წინსაფარი საგარეო, საშინაო თუ საპატარძლო სამოსის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული.

წინსაფრისათვის მასალად აბრეშუმის, ატლასის, ლასტიგისა და ჩითის ქსოვილი გამოიყენებოდა. ახალგაზრდებისათვის მიღებული იყო წითელი, ყვითელი, მწვანე და ჭრელი ფერები, ხოლო ხანდაზმულთათვის ლურჯი, შავი და წენგოსფერი. აბრეშუმის წინსაფარი ბამბის ქსოვილის სარჩულით მუშავდებოდა.

თუშური კოსტიუმის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტია ჯუბის ზემოდან ჩასაცმელი **ჩოხა,** რომელიც ზედსაცმელის სახელითაცაა ცნობილი (სურ. 5). ის გამოწყობილი სილუეტის, წინ ჩახსნილი, წელში გადაჭრილი სამოსია. ზედატანის კალთა ერთნაწილიანია; ზურგი შედგება ცენტრალური დეტალისა და მცირე ზომის სამკუთხა გვერდულებისაგან; ქვედატანი შედგება შვიდი ტრაპეციული, ქვევით გაფართოებული დეტალისაგან, ამათგან ორ-ორი სხვადასხვა სიგანის ტრაპეციული დეტალი კალთის შემადგენელია, ხოლო სამი ტრაპეციული დეტალი ქვედატანის ზურგისა (სურ. 6). სახელო ჩაკერებული ერთნაწილიანი, ხელის მტევნებამდე სიგრძის, იდაყვამდე შეხსნილი, ან შეუხსნელი, ქალის ოჯახური მდგომარეობის მიხედვით (ქალიშვილებისა და ქმრიანი ქალებისათვის იდაყვამდე შეხსნილი, ქვრივებისთვის შეუხსნელი, ბოლომდე გაკერილი). ჩოხა დამუშავებულია სარჩულზე.

საჩოხე მასალად გამოიყენებოდა შინამრეწველური წესით დამზადებული შალის ქსოვილი, ე. წ. „ორგულ“ (ორმაგულა). ჩვეულებრივ, გავრცელებული იყო მუქი ფერის – შავი, ლურჯი და წენგოსფერი ჩოხის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მუქი ფერის იყო საპატარძლო სამოსიც.

თუშური ჩოხის ნაირსახეობას წარმოადგენს გარე სამოსი – ზედსაცმელი, რომლის კალთის ნაპირები ცხვრის ბეწვით, ე. წ. „მაჟდაგით“ არის გაფორმებული. ასეთ ჩოხას მოგვიანებით ქათიბი ეწოდა [3, 145].

სუსხიანი ჰავის გამო თუშეთში თბილი ზედა სამოსი – სხვადასხვა ტყავ-კაბები და ტყავის ქურქები გამოიყენებოდა. ტყავ-კაბა „დურაი ტყავის“ სახელითაცაა ცნობილი [3, 151].

თუში ქალის ზედა სამოსი – **კოკა (ტყავის ქურქი),** ბეწვიანი მხარით შიგნით დამუშავებულ ტყავის ქურქს წარმოადგენს (სურ. 7). ის გამოწყობილი სილუეტის, წელში გადაუჭრელი სამოსია, სიგრძით მუხლს ქვევით (ან კოჭამდე). სახელოები იღლიამდე შეხსნილი აქვს. ყელის ირგვლივ, კალთის ნაპირებზე და სახელოს ბოლოებზე მოვლებული აქვს ბეწვი. წელში იკვრება ორი ან სამი დედალ-მამალი დუგმით, შეიძლება იყოს შესაკრავის გარეშეც.

ტყავის ქურქს ამზადებდნენ 5-6 ცხვრის ტყავისაგან. მას კერავდნენ ქალებიცა და მამაკაცებიც.

თავსაბურავები თუში ქალის კოსტიუმის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია. თავსაბურავის შემადგენელი ელემენტებია შავი ფერის მანდილი, კომოზა და ქიჩილა. მანდილი სამკუთხა ფორმის, საკმაოდ დიდი ზომის თავსაბურავია, მისი ყურები სამოსზე უფრო გრძელია, თავზე მოხვევისას მუხლებამდე ეშვება; კომოზა სპეციალური თავსადგამია, რომელზეც მანდილი არის დამაგრებული (სურ. 8. ა). კომოზას ქალი გათხოვების შემდეგ ხმარობდა. რის გამოც ის გათხოვილი და გასათხოვარი ქალის განმასხვავებელ ელემენტად ითვლებოდა. კომოზას ქორწილის დღეს პატარძალი თავზე ჩამოიცვამდა (ქუდის მსგავსად) და სიცოცხლის ბოლომდე არ იხდიდა, მისი მოხდა-დახურვა სხვა თვალისაგან, მათ შორის ქმრისგანაც, დაფარულად ხდებოდა, ბოლოს მიცვალებულსაც თან ჩაატანდნენ; ქიჩილა 6 სმ სიგანისა და ერთი მეტრი სიგრძის თავსაკრავი ზოლია (სურ. 8. ბ). კომოზას ჩამოცმის შემდეგ, მის ზემოდან მანდილის ერთ ყურს ქიჩილას საშუალებით იმაგრებდნენ, ხოლო მეორე ყურს ზემოდან გადმოფენდნენ. მანდილი კომოზზე ქინძისთავით მაგრდებოდა.

თავსაბურავის სამივე ელემენტი ქიშმირის ან ლასტიგის ქსოვილისაგან მზადდებოდა, ქალები ხელმოკლე ოჯახებიდან მანდილს თეთრი მიტკლის ქსოვილისაგან კერავდნენ და შემდეგ შავად ღებავდნენ. ფაბრიკული ქსოვილების ფართოდ გავრცელებამდე შინნაქსოვი თხელი შალის მანდილს ან ჩხირებით ნაქსოვ მოსახვევს იყენებდნენ [2, 78].

თუშური ეთნოკოსტიუმის განუყოფელი ნაწილია ვერცხლის სამკაული – „**ჟღარლი**“. ის წარმოადგენს მონეტებასხმულ ვერცხლის ძეწკვებს და ვერცხლის ღილებს, მასზე დაკიდებული ძეწკვებითურთ. მონეტებასხმული ვერცხლის ძეწკვები სამრიგადაა დაკერებული ჯუბის საულებზე, ხოლო ღილები ძეწკვებითურთ ფარგულზე. თუშ ქალებში ასევე გავრცელებული იყო ყელის, მკერდის, ყურისა და ხელის სამკაულები — სხვადასხვა სიდიდის მარჯნის მძივები, ბროშები, დიდი და პატარა ზომის ოქროსა და ვერცხლის საყურეები, სამაჯურები, ფირუზისა და

ზურმუხტისთვლიანი და უთვლო ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, შუბლის ქინძისთავი (მანდილის კომოზზე დასამაგრებლად). გულმკერდის სამკაულის გარდა ყველა სამკაული შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მკვლევართა უმეტესობას მთიანი რეგიონის ქალის სამკაულიდან ყველაზე საინტერესოდ და ორიგინალურად, სრულიად განსხვავებული მოხმარების გამო, თუშური გულმკერდის სამკაული მიაჩნია. მოძრაობისას, განსაკუთრებით ცეკვა-თამაშის დროს, ძეწკვზე ასხმული მონეტები ერთმანეთს ეხება და თავისებურ, ჟღერად ხმას გამოსცემს (ჟღარუნი, აქედან სახელწოდება – „ჟღარლი“).

თუში ქალები ყურისა და ყელის სამკაულს ბავშვობიდანვე ატარებდნენ, გულმკერდის სამკაულს, ბეჭდებსა და სამაჯურს 14-15 წლის ასაკიდან დაიმატებდნენ, გათხოვების შემდეგ გულმკერდის სამკაულს იხსნიდნენ, ხოლო ბეჭდებს, როგორც წესი – ბოლო სამ თითზე, მოუხსნელად ატარებდნენ სიცოცხლის ბოლომდე. მგლოვიარე ქალი სამკაულს არ იკეთებდა.

ფეხსამოსი და ფეხსაცმელი. თუშები ფართოდ მოიხმარდნენ ჩხირებით ნაქსოვ ჭრელ, მრავალფეროვანი ორნამენტით შემკულ, მაღალყელიან წინდებს („იაꙋნორე ჩხინდრი”), მოქსოვილ ფეხსამოს „ჩითებს“ („ბორგ“) და მუქი ფერის სხვადასხვა ბაწრით მოქსოვილ ფეხსაცმელს. ჩითებს უკეთებდნენ ტყავის ან რეზინის ძირებს. იგი ზამთარ-ზაფხულ კარგი სახმარი იყო [2, 80].

როგორც ვხედავთ, ზემოაღწერილი თუშური ეთნოკოსტიუმი საქართველოს სხვა რეგიონების სამოსისაგან საკმაოდ განსხვავებულია და თვითმყოფადობით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, ის განსაკუთრებით ღირებულია, როგორც შთაგონების წყარო – თანამედროვე კოსტიუმის ფორმების ძიების პროცესში, მით უფრო, რომ თუშური სამოსის მოტივები დიზაინერთა მიერ ნაკლებადაა გამოყენებული თანამედროვე ტანსაცმლის ელემენტებში ტრანსფორმაციის მიზნით. მართალია, ყველა ნაციონალური მოტივი არ შეიძლება შეესაბამებოდეს თანამედროვე კოსტიუმის სილუეტს, მაგრამ დიზაინერი ყოველთვის ეძებს და პოულობს ანალიტიკურ შეთანხმებას – ისტორიულისა თანამედროვეობასთან, რაც დღეს ძალზე აქტუალურია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნაციონალური ელემენტებით შექმნილ კოსტიუმს უნდა ჰქონდეს არა მარტო ვიზუალური, არამედ პრაქტიკული დატვირთვაც, ე. ი. შესაძლებელი უნდა იყოს მათი არა მარტო გამოფენა, არამედ ყოფაში რეალურად გამოყენება.

ჩვენს მიერ მოკვლეული თუშური ეთნოკოსტიუმის ელემენტები შერწყმული იქნა თანამედროვე სილუეტთან და დამუშავებულ იქნა მოდელები (სურ. 9. ა, ბ), რომლებიც წარმოადგენს თანამედროვე მოდური ტენდენციების შესაბამის ახალგაზრდულ კომპლექტებს. მათში გამოყენებულია ეთნოკოსტიუმისათვის დამახასიათებელი ფერები, მოდიფიცირებულია სხვადასხვა ელემენტები და მორთულობა.

ახალგაზრდული კომპლექტი – მოდელი ა, შედგება კაბის, ჟაკეტი-ბოლეროსა და თავსაბურავისაგან. კაბის მოდელში ტრანსფორმირებულია ჯუბისა და ფარგულის ელემენტები. კერძოდ, კაბის კალთის ცენტრალურ ნაწილში, მთელ სიგრძეზე გულისპირი-ფარგულის მსგავსი ელემენტია ჩასმული. ჟაკეტი-ბოლერო თავისი

კონსტრუქციით სტილიზებულ მოკლე ჩოხა-ზედსაცმელს წარმოადგენს, ამასთან, მასში გამოყენებულია ჯუბის ელემენტები – საული და ქუროები. თანამედროვე კომპლექტის

თავსაბურავი თუშური მანდილის შემცირებული ვარიანტია, ხოლო სამკაული თუშური ჟღარლას მოტივითაა შთაგონებული.

ახალგაზრდული კომპლექტი – მოდელი ბ, შედგება კაბის, ჟაკეტისა და თავსაბურავისაგან. კაბის მოდელში საინტერესოდაა მოდიფიცირებული თუშური ეთნოკოსტიუმის ელემენტები – წინსაფარი, სარტყელი და სამკაული, ხოლო ჟაკეტი-ბოლერო ტყავ-კაბის სტილიზებული ვარიანტია.

როგორც ვხედავთ, თუშური ეთნოკოსტიუმის მოტივებზე შექმნილი კომპლექტები ვიზუალურად თითქოს ინარჩუნებს ძველებური თუშური სამოსის იერს, მაგრამ განსხვავება თვალსაჩინოა, როგორც სილუეტში, ისე მასალებში. თუშური ჯუბითა და ფარგულით შთაგონებული თანამედროვე კაბა სხვა მასალის ეფექტით არის შერჩეული, ასევეა წინსაფარიც და თავსაბურავიც, რაც დღევანდელი მოდის აქტუალურ ტენდენციებს შეესაბამება. თუშური ეთნოკოსტიუმის ასეთი მეტამორფოზა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოფაში და მას მხოლოდ საგამოფენო დატვირთვა არ ექნეს, თუმცა, დიზაინის თვალსაზრისით, ვიზუალური ეფექტებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ამრიგად, თუშური ეთნოკოსტიუმი თავის მხრივ საინტერესოა, როგორც ქართული ეროვნული სამოსის ერთ-ერთი თვითმყოფადი და განუმეორებელი სახეობა და ამასთან, საინტერესოა დიზაინერისათვის, როგორც შთაგონების წყარო – შემოქმედებითი ძიების პროცესში. დღესათვის ეთნოკოსტიუმის, როგორც სახასიათო და სულიერი ეთნიკური ღირებულების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან, თანამედროვე ეტაპზე უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევითა და ნება-სურვილით, ქართული ეროვნული სამოსის პოპულარიზაციისა და ყოფაცხოვრებაში დანერგვის ღონისძიება ხორციელდება და ეს ერის სასიკეთოდ დაძრული ტალღა საზოგადოების ფართო მასების აყოლიებასაც აპირებს.

ლიტერატურა:

1. **ჯავახიშვილი ივ.** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1979.
2. **მარგოშვილი ლ.** ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი. ,,მეცნიერება", თბ., 1980.
3. **მაკალათია ს.** თუშეთი. ტფ., 1933.

LELA KIKNAVELIDZE, IRINA UGREKHELIDZE

TUSHETIAN WOMEN'S ETHNIC COSTUME AND ITS MODIFIED FORMS

The heritage of one epoch aligned to national and folk traditions would become the ground for development of the next. The culture of Georgia that has evolved over the country's long history and peculiar style of clothing alongside common Caucasian traditions are tightly interrelated. Due to its geographical location Georgia has always had relationships with other new world and old world countries which resulted in establishing different forms for different regions. After a long-term use it lost its initial original shape and mostly remained sustainable in mountains. Their clothes have lots of original elements and a wide range of decorating means create unique ones like Tushatian, Khevsuretian, Rachuli, Mokhevuri, Ajarian, İngiloylar and other complexes.

The above mentioned complexes are studied to certain degree apart from ethnic costumes of Tushetian women with 'outstanding' originality and design.

Ethnic dress ranges from a single piece to a whole ensemble of items. None of these items that has come up to date seem to be complicated. It includes the following parts: Inner wear-undergarments, underwear; Outfits : Jubba, (dress-jubba ,Chokha), with additive elements clutches, aprons, belts; Upepr wear Chokha and Leather fur, Koka i.e. leather dress. Instead of Jubba mostly separate items blouses and skirts were used after the factory-made fabrics became common.

The article constitutes detailed information and accurate description of ethnic costumes including garments, veils, jewelry, shoes and different accessories approved by Tushetian women. In pursuit of new one this ethnic style plays significant role as a source of inspiration which motivates us to create something new. As its motives are neglected to certain degree nowadays ,special clothes has undergone modification targeted for the youth of modern society and all these sketches are included in this paper. As the traditional costumes of each ethnic has special model in color and the way of decorating, modern versions retain characteristic coloring. You can see modified elements of jubbas, upper garments, clutches, mandili (veil) leather dresses, aprons, belts, jewelry. At this stage to study spiritual ethnical values, make traditional costumes integrated and provide sound basis for its popularization in Georgian reality highlights its topicality.

სურ. 1. თუში ქალი ეროვნულ სამოსში

სურ. 2. თუში ქალის ჯუბა



სურ. 3. ჯუბის კონსტრუქცია



სურ. 4. ფარგული

სურ. 5. თუში ქალის ჩოხა

სურ. 6. ჩოხის კონსტრუქცია

სურ. 7. თუშური კოკა

სურ. 8. თუში ქალის თავსაბურავი

სურ. 9. თუშური ეთნოკოსტიუმის ელემენტები თანამედროვე ტანსაცმელში